საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 15 თებერვალი. 2022 წ. №25 (9363) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ფსიქოზით დაავადებულნი

„ქართველი და უცხოელი“ ლორის ტილები



3

სამართებელი გიჟების ხელში, ანუ ღმერთო იხსენი საქართველო!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ გაზეთს აქვს განახლებული ვებ-გვერდი www.sakresp.ge თქვენ საშუალება გეძლევათ, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან გაეცნოთ გაზეთის ახალ ნომრებს, გამოიწეროთ იგი ელექტრონულად, განათავსოთ თქვენთვის სასურველი რეკლამა და სარეკლამო ბანერი.

გაზეთის სარეკლამო სივრცე გელით თქვენ!

იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ ყველგან და ყოველთვის.

103 წლის ყველაზე ქართული გაზეთი თქვენ გვერდითაა!

პარლამენტი საგამოძიებო კომისიის შექმნის ორ ინიციატივაზე იმსჯელებს

მიმდინარე სასესიო კვირაში საქართველოს პარლამენტი დადგენილების ორ პროექტს განიხილავს. ბიუროს გადაწყვეტილებით პლენარული სხდომა იმსჯელებს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ მიერ წარდგენილ „საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ შესაძლო ძალადობრივი შეურაცხმყოფელი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“.

დეპუტატები ასევე განიხილავენ პოლიტიკური ჯგუფის „რეფორმების ჯგუფის“ 5-6 ივლისს თბილისში განვითარებული მოვლენების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივას. რეგლამენტის გათვალისწინებით, პარლამენტი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე გადაწყვეტილებას სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით იღებს.



4

ბენ ჰოჯესი: დათმობებზე წასვლით კრემლს მხოლოდ დამატებით მადას აღვუძრავთ

გმადლობთ, ძია ბენ, „თვალები რომ აგვიხილე“!

კოსმოსურმა კატასტროფამ გამოიწვია დინოზავრების გადაშენება

5

მეცნიერები შორეულ წარსულს იკვლევენ

ძლიერი მიწისძვრა საქართველოში

13 თებერვალს ღამის საათებში საქართველოში მიწისძვრა იყო, რასაც ნგრევა მოჰყვა. დმანისში დაინგრა სახლები — მოსახლეობის ნაწილმა ღამე ქუჩაში გაათენა. ჯავახეთის ქედზე 6,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დიდი ხანია, არ ყოფილა.

ძლიერმა მიწისქვეშა ბიძგებმა ახალი ბზარები თბილისის თითქმის ყველა ძველ უბნებში გააჩინა. ჩუღურეთის რაიონში ნიკო ფიროსმანის მუზეუმის კედელი ჩამოიშალა.

„შექმნილია შესაბამისი კომისია და ზარალს აუცილებლად ავუნაზღაურებთ. ასევე მერიის სხვადასხვა უწყება მუშაობს სხვადასხვა თემში, ასევე კავშირზე ვართ სახანძრო-სამაშველო სამსახურთან, მთავრობის ადმინისტრაციასთან, გუბერნიასთან და თითქმის ყველა საკითხი, რომელიც სტიქიას შეიძლება, ამ ეტაპზე, ჰქონდეს, ამოწურულია. ჩვენ გვაქვს სტიქიებისთვის გათვალისწინებული სარეზერვო ფონდი და აუცილებლად ძალიან მოკლე დროში ანაზღაურდება ეს ზარალი“, — განაცხადა დმანისის მერმა კობა მურადაშვილმა.

დღის აფორიზმიდან

სიახლე

საქართველოში შეიქმნა სრულიად ახალი პოლიტიკური პარტია სახელწოდებით „კორონაცო“, ანუ კორონისა და ნაციონალების პარტია მიშიკოს გასათავისუფლებლად!!!

ლონდა მდივანი

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებული ადამიანები სახელმწიფოსგან დამატებით 300 ლარს მიიღებენ

„ჩვენი მოქალაქეებისთვის დეტალურად უნდა განვმარტო — საზოგადოებრივი სამუშაოები სპეციალურად სამიზნე ჯგუფებისთვის შეიქმნება და ისეთ სამუშაოს გულისხმობს, რომლის შესრულებაც ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მოქალაქეების მოტივაციის ამაღლებას, წაახალისებს მათ შრომის ბაზარზე გასააქტიურებლად. პროგრამა, როგორც აღვნიშნე, საუკეთესო დასავლური პრაქტიკის შესწავლის შედეგად შევიმუშავეთ. აქ ჩვენ მივიღებთ ორმაგ შედეგს — ერთი მხრივ, გაიზრდება სოციალური შემწეობის მიმღებ უმუშევართა შემოსავლები და ამავდროულად, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნის, ან არსებულის გასაუმჯობესებლად შექმნის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სიკეთეს.

ამ პროგრამით ისარგებლებენ 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირები, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული შშმ სტატუსი ან არ აქვთ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები. ჩვენი პროგნოზით, სულ დასაქმდება 200 000 ადამიანი. პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სხვა სამინისტროები ყველანი მოახდენენ 50 000-დე ვაკანსიის მობილიზებას. წელს ჩვენ შესაძლოა, 100 000-ზეც კი გავიდეთ. ჩვენ არ გვაქვს ლიმიტი.

პროგრამას განახორციელებს დასაქმების სახელმწიფო სააგენტო და მოსარგებლეს ექნება შესაძლებლობა, აირჩიოს ან საზოგადოებრივი სამუშაო, ან შრომის ბაზარზე არსებული უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ვაკანსია. ან თუ მოსარგებლე დასაქმებულია არაფორმალურ, სექტორში, დასაქმების ფორმალიზება რომ მოახდინოს. ან პროფესიული მომზადების და გადამზადების ქვეპროგრამებში ჩაერთოს.

მინდა აღვნიშნო ხაზგასმით - საზოგადოებრივი სამუშაო არ განაპირობებს სოციალური დახმარების შეწყვეტას. მოსარგებლის ოჯახს 4 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება საარსებო შემწეობა. ის დახმარება, რასაც ის დღეს იღებს, მიეცემა მომდევნო 4 წლის განმავლობაში და ჩვენ ამას არ შევეხებით. ამ პროგრამაში ჩართულ თითოეულ მოქალაქეს მიეცემა დამატებით 300 ლარი. ერთი მხრივ, ისინი მიიღებენ სოციალურ დახმარებას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს 400-500 ლარი, შეიძლება ეს იყოს 700-800 ლარიც და ამას გარდა, 300 ლარი ექნება დამატებით სახელმწიფოსგან. მოსარგებლეს შემწეობა გაუგრძელდება მაშინაც, თუ ის არ დათანხმდება არც ერთ შემოთავაზებას, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მგდომარეობა ხელახლა გადამოწმდება, რაც, ვფიქრობთ, სამართლიანია.

რა თქმა უნდა, ამ დროის განმავლობაში მას შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება და ხელახლა მიმართოს დასაქმების სააგენტოს, ან სოციალური მომსახურების სააგენტოს. საზოგადოებრივი სამუშაოს მასშტაბური პროგრამა იქცევა ჩვენი ვარაუდით უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად სილარიბის დაძლევის გზაზე. ერთი მხრივ, 200 000-ზე მეტ ჩვენს თანამოქალაქეს მივცემთ უკეთეს შემოსავალს, ღირსეული შრომის პირობებს და თვითრეალიზაციის საშუალებას და მეორე მხრივ, ისინი უნდა ვაქციოთ კონკურენტულ, მოტივირებულ ადამიანებად, რომლებიც სრულფასოვნად ჩაერთვებიან ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში“, — განაცხადა პრემიერმა გუშინდელ მთავრობის სხდომაზე.

მედიკამენტებზე მაღალი ფასები მიუღებელია, რამდენიმე კვირაში დაიწყება თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების შემოტანა!

„მე ვიცი, რომ ფარმაცევტული კომპანიები, იმპორტიორები უკვე მუშაობენ აქტიურად, რომ შემოიტანონ ხარისხიანი, იაფი მედიკამენტები თურქეთიდან და ჩემი ინფორმაციით, უახლოეს რამდენიმე კვირაში დაიწყება მედიკამენტების აფთიაქებში შეტანა. ესეც შვება იქნება ჩვენი მოსახლეობისთვის იმიტომ, რომ რეალურად, ეს ხარჯები დიდ ტვირთად აწევს ჩვენს მოსახლეობას, მაღალი ფასები მედიკამენტებზე აბსოლუტურად მიუღებელია, ამიტომ, ამაზე ჩვენ რეაგირებაც გვქონდა და გამოსავალიც ვიპოვეთ მარტივად. დანარჩენი, რაც ბატონ ზურას აქვს დაწყებული პროცესი, რომელიც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებას, ელექტრონული რეცეპტების დანერგვას, ეს ყველაფერი პროცესშია, ძალიან მალე, მარტიდან ჩაეშვება, ჩემი ინფორმაციით და ვფიქრობ, ეს შეუწყობს ხელს კონკურენციის გაძლიერებას. იმპორტიორებს უნდა გავუხსნათ გზა. მე ვიცი, რომ ბარიერები, რომლებიც არსებობდა მანამდე, მაგალითად, 45 სამუშაო დღე სჭირდებოდა მედიკამენტის იმპორტისთვის ლიცენზიის აღებას. ეს 7 დღემდე შევამცირეთ და გვინდა, რომ ბაზარი მაქსიმალურად გავხსნათ, რომ მეტმა შემოიტანოს, მეტი კონკურენცია იყოს, ნაკლები ფასები იყოს მედიკამენტებზე და რა თქმა უნდა, ეს ჩვენს მოქალაქეებს დაუზოგავს თანხებს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერი: 26 პროცენტამდე დავწევთ პენსიონერების საპროცენტო განაკვეთს; შეგახსენებთ, რომ წინა ხელისუფლების დროს ეს იყო 80 პროცენტი, 90 პროცენტი, 100 პროცენტზე მეტი

პრემიერ-მინისტრი პენსიონერებისთვის საბანკო პროცენტის დაწევას გამოეხმაურა. ირაკლი ღარიბაშვილმა გაიხსენა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს ეს მაჩვენებელი 100%-ზე მაღალიც კი იყო, თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს 36%-მდე შემცირდა.

„ჩვენ საბანკო პროცენტი მინიმუმამდე დავწიეთ, მაგრამ 36% მაინც მაღალია პენსიონერებისთვის. ამიტომ, შევქმენით კომისია ბატონი ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით. იმუშავეს ამ საკითხზე და შეჯერდნენ, რომ 26%-მდე დავწევთ ამ განაკვეთს და ეს კიდევ ერთი შება იქნება ჩვენი პენსიონერებისთვის“.

„თელმიკოს“ მიერ მოსახლეობისთვის დარიცხული თანხების სისწორესა და კანონიერებას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიც შეისწავლის

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ლაშა ხუციშვილს დაავალა, „თელმიკოს“ მიერ მოსახლეობისთვის დარიცხული თანხების სისწორისა და კანონიერების შესწავლის პროცესში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიც ჩაერთოს.

პრემიერის ინიციატივით მთავრობა სოციალური შემწეობის მიმღებ შრომისუნარიან პირებზე ორიენტირებულ დასაქმების აქტიურ პოლიტიკას იწყებს

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ეს ინიციატივა ითვალისწინებს საზოგადოებრივი სამუშაოების შექმნას სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმებისთვის.

ირაკლი კობახიძე: ნაძირალები რაღაც შანსებს ხედავენ ამ ომში!

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, საქართველომ უკრაინის თემაზე ძალიან მკაფიო პოზიცია გამოხატა და საპარლამენტო რეზოლუციით სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს.

კობახიძის თქმით, იტოვებენ იმედს, რომ არ დაიწყება უკრაინაში ომი, რაც იქნება მძიმე არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვის.

„ჩვენი მხარდაჭერა არის მაქსიმალურად მკაფიო, რაც გამოიხატა საპარლამენტო რეზოლუციაში, ჩვენ მკაფიოდ სოლიდარობა გამოვუცხადეთ უკრაინელ ხალხს, გამოვთქვით იმედი, რომ ომი არ დაიწყება. რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილია, რომ ყველამ, საერთაშორისო თანამეგობრობამ ყველაფერი გააკეთოს ომის არდაშვებისთვის, ეს უნდა იყოს ყველას, მათ შორის ჩვენი მთავარი ამოცანა.

ვიღაცები რაღაც შანსებს ხედავენ ამ ომში, მათ შორის საქართველოშიც, რაც არის იმის გაგრძელება, რაც ვიხილეთ ამ ადამიანების მხრიდან 2008 წელს, როდესაც მათ საკუთარი ქმედებებით ჩააბარეს ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი რუსეთის ფედერაციას. ასეთი ნაძირალა ადამიანებისგან ჩვენი საგარეო პოლიტიკა არ უნდა განისაზღვრებოდეს, და მადლობა ღმერთს, არც განისაზღვრება. მათ უნდა გვაცალონ იმ საგარეო პოლიტიკის წარმოება, რომლის შედეგია ის, რომ პირველი ხელისუფლებაა „ქართული ოცნება“, რომლის პირობებშიც ომი არ ყოფილა. ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას. ჩვენი მთავარი ამოცანაა ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება. ჩვენი პრაგმატული ნაბიჯები ემსახურება ზუსტად ამ მიზანს და ამოცანას“.

ჯუანშერ ბურჭულაძე: ქართული ჯარის და ეკლესიის მოძულე დაჯგუფება აგრძელებს ავტორიტეტული ინსტიტუციების წინააღმდეგ თავზეხელაღებულ კამპანიას

ქართული ჯარისა და ეკლესიის მოძულე დაჯგუფება აგრძელებს ავტორიტეტული ინსტიტუციების წინააღმდეგ თავზეხელაღებულ კამპანიას, — ასე გამოეხმაურა საქართველოს თავდაცვის მინისტრი გასულ კვირას „მთავარ არსსა“ და „ტვ პირველზე“ გასულ სიუჟეტებს, რაც მისი თქმით, ჯარისა და ეკლესიის დისკრედიტაციას ემსახურებოდა.

თავდაცვის მინისტრმა სახელმწიფო აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებითაც გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ გამოვლენილი დარღვევები, ძირითადად 2012 წლამდე პერიოდს ეხება.



„მიგნებები შესაძლო დანაშაულებისა თუ სხვა ხარვეზების შესახებ, რომელიც სახელმწიფო აუდიტის ანგარიშშია მოცემული, ჩვენს მიერ, სამინისტროს შიდა აუდიტით გამოვლინდა და ძირითადად 2012 წლამდე პერიოდს ეხება. დასკვნა საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ამოიკითხოს დასკვნის სარეკომენდაციო წერილშივე, სადაც ნათქვამია, რომ სამინისტრომ გამოასწორა ის ათობით წლის განმავლობაში დაგროვილი ხარვეზები, რაც უწყებაში არსებობდა. ჩვენ წერილობით მივმართავთ სახელმწიფო აუდიტს და ვთხოვთ ფაქტის კიდევ ერთხელ დადასტურებას, თუ რომელ პერიოდს ეხება კონკრეტული ფაქტები და ის, რომ აღნიშნული გამოვლინდა სამინისტროს შიდა აუდიტის მიერ“, — განაცხადა მინისტრმა.

ლევან დავითაშვილი: ჩვენ შეგვიძლია ეკონომიკის სწრაფი განვითარება

„ჩვენი მთავარი ამოცანაა ეკონომიკის სწრაფი ზრდა და ამის შედეგად მეტი დასაქმება, მეტი შემოსავალი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას“ — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისივე თქმით, მხოლოდ ეკონომიკის აღდგენა პანდემიამდელ მდგომარეობაში არ არის საქართველოს ხელისუფლების მიმართ ქვეყნის მოსახლეობის დაკვეთა.

„ჩვენი განწყობაა, რომ ეკონომიკის სწრაფი განვითარება შევძლოთ და არა მხოლოდ ის, რომ აღდგენაზე ვიზრუნოთ და დავუბრუნდეთ პანდემიამდელ მაჩვენებლებს — ეს არ არის ჩვენი ამბიცია, ეს ასევე არ არის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაკვეთა საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ჩვენი მთავარი ამოცანაა ეკონომიკის სწრაფი ზრდა და ამის შედეგად მეტი დასაქმება, მეტი შემოსავალი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას“ — დასძინა ლევან დავითაშვილმა.

„ქართველი და უცხოელი“ ღორის ტილები

სამართებელი გიჟების ხელში, ანუ ღმერთო იხსენი საქართველო!

ბოლო ოთხი ათეული წელია, ჩემი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას რომ ვაკვირდები, არა მარტო ვაკვირდები და შორიდან ვუცქერი, ერთი ხანობა, აქტიურადაც ვმონაწილეობდი მიმდინარე პროცესებში, თანდათან ვრწმუნდებოდი, მასობრივი ფსიქოზი რომ მძვინვარებდა საქართველოში. მერე და მერე, ისიც აშკარა გახდა, რომ მასობრივი ფსიქოზი მარტო ჩემს სამშობლოს არ დამართნია, ამ დაავადებამ, არსებითად, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე და, უფრო მეტად, ევროპის ქვეყნები მოიცვა.

მე ფსიქოლოგი და, მით უფრო, ფსიქიატრი არ ვარ, მაგრამ იმდენი კი ვიცოდი და ვიცი, რომ ბევრი ფსიქოლოგის მოსაზრებანი წამეკითხა და დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ ჩემი სამშობლო ერთი დიდი საგიჟეთისკენ მიექანებოდა. ნებისმიერმა სერიოზულმა ფსიქოლოგმა (მით უფრო მეცნიერმა!) იცის, რომ ფსიქოზი იმაზე უფრო გადამდები დაავადებაა, ვიდრე გრიპი, თუ კორონას ნაირსახეობა – ომიკრონი. აბა ერთი, ხმამაღლა გაიცინოს ვინმემ ხალხით გაჭედილ ავტობუსში, ან მეტროპოლიტენის მატარებლის ვაგონში, თუ მგზავრების უმრავლესობამ სიცილი არ დაიწყოს.

რატომ? რა იციან, რაზე გაიცინა იმ ერთმა მგზავრმა? არ იციან და არც კითხულობენ სიცილის მიზეზს. ისტერიკის გამოვლინებაა ეს და ცოტ-ცოტა ისტერიულობა ყველას ახასიათებს, ამიტომ არის სიცილი, თუ მთქნარება გადამდები, მით უფრო იმათთვის, ვისაც ნაკლებად მყარი ფსიქიკა და გონიერების დეფიციტი აქვს.

როდესაც საქართველო პერმანენტულმა მიტინგომანიამ მოიცვა, როდესაც ყველა წვერგაუპარსავი პირდაუბანელი ეროვნული მოძრაობის აქტივისტად იქცა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემს ქვეყანას მასობრივი ფსიქოზის პანდემია დაატყდა თავს, რის გაღვივებასა და გავრცელებას აქტიურად უწყობდა ხელს როგორც ჩვენი სახელმწიფოს მოღალატე (უცხოელების მიერ ნაყიდი!) ხელისუფლება, ისე ჩვენი სიბრიყვე და უვიცობა!

ნათქვამია, კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, ჯერ ჭკუას გამოაცლისო. სრული ჭეშმარიტებაა ეს! ღმერთი რომ გაგვიწყრა, ამის მიზეზების ჩამოთვლა იქნებ ზედმეტიც არის, მაგრამ ვიტყვი მაინც: ტყუილი და სიბრიყვე გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენი არსებობის ნორმად იქცა. ცრუობდა ყველა – ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებიდან დაწყებული, ყველაზე დაბლა მდგომი დამლაგებლისა და მეეზოვის ჩათვლით. ცრუობდა გლეხი, მუშა, მოსწავლე და მასწავლებელი, მეცნიერი და პოლიტიკოსი, მღვდელი და დიაკვანი, ერი და ბერი. გაგვიწყრებოდა ღმერთი, აბა რა იქნებოდა!

რაც 80-იან წლებში პერმანენტულ მიტინგებზე მომისმენია: „ჩვენ მხოლოდ ბორჯომის წყალი გვაცხოვრებს!“ „ჩვენ მხოლოდ ჩაი გვეყოფა ბედნიერად ცხოვრებისათვის!“ „მხოლოდ მარგანეცი რომ გავყიდოთ, ისიც თავზესაყრელად გვეყოფა!“ და ა.შ. ა.შ. მასობრივი სიგიჟე სრულიად აშკარა იყო უკვე!

მარტო ლოზუნგები კი არა, პრაქტიკული მოქმედებაც ახლდა ამ „ფსიქოზურ პანდემიას“. გამარჯვებული „ეროვნული მოძრაობის“ მიერ სამტრედიის პრეფექტად დანიშნული კაცის ინიციატივით, რუსეთისაკენ მიმავალი სატვირთო მატარებელი რელსებზე მიადუღეს და რუსეთს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადეს, მისი მრეწველობის დანგრევის მიზნით. იმ ეროვნულმა მოღვაწე პრეფექტმა თავისი ცხოვრება კი მოიწყო, მაგრამ საკუთარი სამშობლოს ეკონომიკისათვის გაწეული „სამსახურისთვის“ სინანული არ გამოუხატავს არასოდეს. როგორც ვატყობ, იმ მასობრივი ფსიქოზის მღვრიე საზოგადოებრივ მდინარეში ბევრმა კაი-კაი ღლავები დაიჭირა!

დღეს? ჩვენმა ეროვნულმა გამოთაყვანებამ – მცირე გამონაკლისის გარდა – ვფიქრობ პიკს მიაღწია!

მცირე გამონაკლისი-მეთქი რომ ვთქვი, ეს „მცირე“ მართლა მცირე კი არ არის, დიდი უმრავლესობაა, მაგრამ ეს „უმრავლესობა“ გათითოკაცებულია, ქვეყნის ხელისუფლება კი თითო-ორკაციანი პარტიების ხელშია, ტელევიზიები იმათია და პრესის დიდი ნაწილიც.

ფინანსები? მტერი აფინანსებს მათ, ის მტერი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე უჭირავთ თვალი, რომელიც ქართველების გარეშე სჭირდებათ. გათითოკაცებული ერი ერი აღარ არის, ბრბოდ ქცეული ხალხია! ბრბოს კი ორგანიზებული სამი ხულიგანიც კი თავის ჭკუაზე გარეკავს საითაც უნდა და როგორც უნდა. ერეკებიან კიდეც! რატომ ვერ გარეკავენ, რა, ჩვენი არჩეული ხელისუფლება სულ თბილ სულს უბერავს დასაბმელი გიჟების ე.წ. პარტიასა და ერთკაციანი პარტიების ოპოზიციონერ დეპუტატებს. ისეთი „კაცები“, რომლებსაც მართლა კაცები ქელეხის სუფრაზეც კი თავიანთ გვერდით არ დაისვამდნენ, ყოველდღე ტელეეკრანებზე არიან გამოფშკერილები და ისეთ სისულელეებს ბოდავენ ქვეყნის გასაგონად, რომ, ცოცხალი რომ იყოს, ავლიპ ზურაბაშვილსაც გაუკვირდებოდა.

ის, რაც ოროიდე დღის წინ ტელეეკრანზე ნახა საქართველომ, იქნებ სხვებმაც კი, უბრალოდ, საღადაოც კი არ არის, როგორც ცნობილმა პოლიტოლოგებმა იმავე დღეს „პოსტტივის“ ეთერში აღნიშნეს – თამარ კიკნაძემ და მისმა კოლეგამ ირაკლი ლატარიამ, – საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის საქციელმა სასამართლოს სხდომაზე ყოველგვარი ტელესიგიჟის რეკორდი მოხსნა, რაც მისი კი არა, ჩვენი ხალხის სირცხვილი და თავის მოჭრაა. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი რომ ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტია, ამაში არც ერთ ჭკუათამყოფელს ეჭვი არ შეეპარება, მაგრამ იმ ხელისუფლებას რა უნდა ვუთხრა, ვისაც პარლამენტში უსხედან ამ პიტალო გიჟის ფანები და პოლიტიკოსებად და მთავარ ოპოზიციონერებად ითვლებიან ოფიციალურად.

იმასაც ამბობენ მავანნი, რომ ხელისუფლება სწორად იქცევა, როცა ამ შიზოფრენიკების სიგიჟეების მონაწილეებს საშუალებას აძლევს, დღენიადაგ ამბიონზე იდგნენ და ცნობად სახეებად ეჩვენებოდნენ ხალხს. ამით მათდამი ნდობას უკარგავს ადამიანებს და საბოლოოდ აფარჩაკებს მათო.

არ არის ასეთი მიდგომა სწორი! კი ბატონო, როდესაც პატიმარი ექსპრეზიდენტის გიჟურ გამოსვლას აჩვენებ ხალხს, მისდამი პოლიტიკურ სიმპათიას, იქნებ, სულაც ქარს ატან, მაგრამ გონიერი კაცი იმასაც ხომ იფიქრებს, შეურაცხადის გასამართლება უზნეობა და უსამართლობაა. იფიქრებს! უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ კავკასიის ხალხები და, იქნებ, მსოფლიოც ხედავს ყოველივე ამას და, ბუნებრივია, ჩვენ მიმართ ყოველგვარი სიმპათია უქრება და არავინ მოინდომებს იმ ქვეყანასთან სერიოზულ პოლიტიკურ დიალოგს, რომლის პარლამენტში ისტერიული და შიზოფრენიული ქალები და მარაზმატიკი მამაკაცები ბატონობენ.

ხელისუფლება, რომელიც, ალბათ, გარიგებულია „მთავარ ოპოზიციურ ძალასა“ და მის სატელიტ „ფინიებთან“, არანაკლებ შეცდომებს უშვებს, ვიდრე მისი ჭკუიდან გადამცდარი ოპონენტები. ამ შეცდომის (რომელიც დანაშაულზე მეტია!) არსი ის არის, რომ ხელისუფლება, ვითომ აგრესიულად, მაგრამ მაინც თანამშრომლობს მათთან. ამ თანამშრომლობას კატასტროფისკენ მიჰყავს საქართველო.

ამას წინათ დიდი გულისტკივილით ვწერდი, რომ ორი ე.წ. პოლიტიკური ძალის – ქოცებისა და ნაცების ფსევდოდაპირისპირებასა და დადგმულ პოლიტიკურ დებატებს დაშლისაკენ მიჰყავს საქართველო-მეთქი. ხომ არ ჰგონია ხელისუფლებას, რომ ხალხის მასა მათ მიერ დადგმულ პოლიტსპექტაკლებს გასართობ შოუებად მიიჩნევს? ან მართლა ხომ არ სჯერათ, რომ მათი ნაბოდვარი – ქართველი ხალხის მიზანი ნატოში გაწევრიანებაა, – მართლა ხალხის არჩევანია! ჰო, და, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ხალხს არც ქოცები ახატია გულზე და, მით უმეტეს, არც – ნაცები. ამიტომ იქმნება ღრმა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ჯერ რეალურად არ ჩანს, მაგრამ მალე აფეთქდება და ჩვენში ღრმად ჩანერგილი სეპარატიზმი, რომელიც არაერთხელ განხორციელებულა რეალურად, კვლავ ძლიერ ანტისახელმწიფოებრივ ძალად იქცევა.

ის, რაც ახლა სენაკში, ბათუმში, რუსთავში, წალენჯიხაში, ზუგდიდსა და ძუთაისში ხდება, არაფერს გვეუბნება? ვაი ჩვენს პატრონს, თუ ასეა! აი, ეს იცის კოჰაბიტაციამ, ანუ მტერთან თანამშრომლობამ! აი, ეს არის უძველესი ძართული ანდაზის – „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“ ჭკუისასწავლი მაგალითი...

ჭკუისასწავლი კია, მაგრამ... არავინ არაფერს სწავლობს!

როდესაც ღორის ტილს ფეხზე დაისვამ „ძართველია“ ეს ტილი თუ სულაც ოკეანის გალმიდან გადმოღოლილი, თავზე აგაღოღდება, უთუოდ. ღორის ტილი თუ შეამჩნიე, იძვე უნდა გასრისო, რომ მერე პრობლემად არ გეძცეს.

გონიერი კაცი სხვის შეცდომებზე სწავლობსო, – ნათქვამია, – სულელი კი ვერც საკუთარზეო. ნუთუ ეს ჩვენზეა ნათქვამი? ან იქნებ გერმანელი ფილოსოფოსი ჰანს მაგნუს ენცენბერგერი იყო მართალი, როცა თქვა: **ქართველი ერი სახელმწიფოებრივი ერი არ არის, ის უფრო კულტურის ერიაო.**

დღევანდელ ე.წ. პოლიტიკოსებსა და მათ ჭკუასასტ მიმდევრებს რომ ვუყურებ, სამწუხაროდ, მგონია, რომ ენცენბერგერი მართალი იყო.

ზურაბ ცუცქირიძე
(555 567 537)

P.S. **იმის ცოდნა, რომ ჩვენზე მეტი გიჟები სხვა ქვეყნებში არიან, თუნდაც ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებში, რა შვებაა ჩვენთვის, ნეტავი?**
ზ.ც.

ზურაბ აზარაშვილი: შეუძლებელია, პრემიერ-მინისტრი იყოს ანტივაქსერი!

შეუძლებელია, პრემიერ-მინისტრი იყოს ანტივაქსერი, ორჯერ არის აცრილი და პირიქით, ძალიან აქტიურად იყო ჩართული ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ყველა კამპანიაში, – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მას ვუსმენდი და ზუსტად გავიგე, რაც იგულისხმა. „ომიკრონის“ შემთხვევაში, რადგან ჩვენ გვაქვს ისეთი ვაქცინები, რომელიც ამ ახალ შტამთან დაკავშირებით გადადების რისკს ნაკლებად აზღვევს, მან თქვა ის, რომ ინფიცირების შემთხვევაში, ძალიან მსუბუქად გადაიტანა, რადგან ორჯერ იყო ვაქცინირებული. თორემ „ომიკრონთან“ დაკავშირებით, როგორც იცით, „ფაიზერმა“ შექმნა ახალი ვაქცინა და მარტის თვეში ჩვენ ეს ახალი ვაქცინა გვექნება, რომელიც კონკრეტულად ამ მეექვსე შტამზე, „ომიკრონზე“ მუშაობს. აქედან გამომდინარე იყო მისი კომენტარი“, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

გმადლობთ, ძია ბენ, „თვალები რომ აგვიხილე“!

რუსეთის ჯარი უკრაინას სამი მხრიდან ჰყავს გარშემორტყმული. ამ ფონზე, რუსეთმა ანექსირებულ ყირიმში, ბელარუსში და ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამხედრო წვრთნები დაიწყო. ამერიკის არმიის ყოფილი მთავარსარდალი ევროპაში, გენერალ-ლეიტენანტი ბენ ჰოჯესი ამბობს, რომ რუსეთის უკრაინაზე რაიმე სახით თავდასხმის ალბათობა, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში – 90 %-ია.

ჰოჯესი შავი ზღვის უსაფრთხოებასა და რეგიონში საქართველოს როლზეც საუბრობს. ის ამბობს, რომ საქართველომ მიმდინარე კრიზისი შესაძლებლობად უნდა გამოიყენოს და პარტნიორებს დაანახოს, რომ სწორი ღირებულებების სჯერა და რომ სტრატეგიულ რეგიონში ის სანდო პარტნიორია. „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ია მეურმიშვილი ბენ ჰოჯესს ესაუბრა.

დათმობებზე წასვლით კრემლს მხოლოდ დამატებით მადას აღვუძრავთ

ბენ ჰოჯესი:

საქართველომ რეგიონში მიმდინარე მოვლენები უნდა გამოიყენოს!

– ბატონო გენერალო, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. თქვენ უკრაინაში და უკრაინის გარშემო მიმდინარე მოვლენებს უკვე წლებია, აკვირდებით. ამჟამად, რაღაც ისეთი ხდება, რაც წინა პროცესებისგან განსხვავდება და დიდ შეშფოთებას იწვევს. რუსეთის ჯარი უკრაინას სამი მიმართულებიდან ერტყმის გარშემო. სანამ დეტალებზე გადავალთ, როგორ აფასებთ იმას, რაც ახლა ხდება?

– ამაზე ფიქრისას, მახრჩობელა ბუაზე ვფიქრობ, რომელიც უკრაინას ყველა მხრიდან უჭერს იმისთვის, რომ პრეზიდენტ ზელენსკის მთავრობას, გიგანტურ კომპრომისზე წასვლა აიძულოს. რუსეთი ასევე ცდილობს ჩვენზე ზეწოლასაც, თუმცა, ფიზიკური თვალსაზრისით ეს უკრაინის წინააღმდეგ ხდება.

ახლა განსაკუთრებით, როცა წვრთნები ბელარუსშიც დაიწყო, რუსეთის საზღვაო ძალების ამფიბიური შესაძლებელობების დემონსტრირებით, არ მაქვს დეესკალაციის არანაირი განცდა. მოსკოვიდან არანაირი სიგნალი არ მოდის, რომ სიტუაციის განმუხტვა სურთ, პირიქით. ვფიქრობ 90 პროცენტია იმის ალბათობა, რომ რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ, რაღაც სახის ახალი თავდასხმა ამ თვის ბოლომდე განახორციელოს.

– ბელარუსში რუსეთმა, დაახლოებით, 30 ათასი დამატებითი ჯარისკაცი გააგზავნა წვრთნებისთვის. თქვენი აზრით, გამოიყენებს კრემლი ამ კონტინგენტს უკრაინის წინააღმდეგ ახალ თავდასხმაში?

– ისინი უდავოდ იწვევენ შეშფოთებას როგორც ჩვენში, ასევე უკრაინის შიარაღებულ ძალებში. უკრაინის არმიის გენშტაბი ახლა იმაზე ფიქრობს, თუ საიდან შეიძლება დაიწყოს თავდასხმა და მოხდება თუ არა ეს თავდასხმა რამდენიმე ფრონტზე.

ვფიქრობ, რუსეთის მიზანიც სწორედ ეს არის, რომ საკუთარ ჯარს რამდენიმე არჩევანი მისცეს ეფექტური თავდასხმისთვის. შემიძლია იმის წარმოდგენა, რომ ბელარუსიდან შეიძლება მცირე მასშტაბის თავდასხმა მოხდეს. თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ ამ ჯარის მიზანი ის არის, რომ უკრაინა კიდევ ერთ დამატებით საკითხზე დააფიქროს.

– „გეზის შეცვლის საშუალების მიცემა“ ის ტერმინია, რომელიც ბოლო დროს რუსეთთან დაკავშირებით ხშირად გვესმის. კონტექსტი ძირითადად ის არის, რომ დასავლეთმა რუსეთს რაღაც ფორმით უკან წასვლის გზა უნდა დაუტოვოს, ისე, რომ რუსეთმა სახე შეინარჩუნოს ან სულ მცირე, ქვეყნის შიგნით ეს ნაბიჯი გამარჯვებად გაყიდოს. რას ფიქრობთ არგუმენტზე, რომ დასავლეთმა რუსეთს საშუალება უნდა მისცეს, რომ კრემლმა თავისივე მიზნებისთვის, ხელოვნურად შექმნილი კრიზისი დაამთავროს, ეს გამარჯვებად აღიაროს და ჯარი ბაზებზე დააბრუნოს?

– ზუსტად. რუსეთს ახლავე შეუძლია ამ გზის გამოყენება და უკან, სახლში წასვლა. ეს მთლიანად მათზეა დამოკიდებული, რომ თქვან, რომ მიზანს მიაღწიეს და ახლა სახლში წავლენ. მაგრამ არ მგონია, ეს მოხდეს. პირიქით, ყველაფერი საწინააღმდეგოზე მიუთითებს.

(...) დიპლომატებისთვის ძალიან გონივრულია მოლაპარაკებების ამ მიმართულებით წარმოება, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის, თუ სამომავლო მიზნების ხარჯზე, ან ნატოს ძირითადი პრინციპების დათმობის ხარჯზე. ისტორიიდან კარგად ვიცით, რომ ამით შედეგს ვერ მივაღწევთ. **ДАТМОБЕБЗЕ ВАСВЛИТ КРЕМЛЬ МХОЛОДО ДАМАТЕБИТ МАДАС АГВУДРАВТ.**

2008 წელს რუსეთი საქართველოში შეიჭრა, 2014 წელს – უკრაინაში. რუსეთი მხოლოდ აძლიერებს აგრესიას და უკან არ იხევს. ამიტომ ჩვენი მხრიდან მიამიტური იქნება იმის ფიქრი, რომ რუსეთთან დათმობაზე წასვლა ღირს. უნდა ვთქვა, რომ კონფლიქტის თავიდან აცილება ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი არ უნდა იყოს.

– რუსეთს უკრაინისთვის აზოვის ზღვაზე და შავი ზღვის დიდ ნაწილზე დე ფაქტო ბლოკადა აქვს დაწესებული. უკრაინის ეკონომიკა ზღვაზე წვდომაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, კომერციული ტვირთის გადასაზიდად. რას ნიშნავს თქვენი აზრით ეს? შეიძლება თუ არა უკრაინამ ზღვის ბლოკადა ომის დე ფაქტო გამოცხადებად ჩათვალოს?

– აზოვის ზღვა რუსეთმა ფაქტობრივად ჩაკეტა. უკრაინის ორი უმსხვილესი პორტი მარიუპოლი და ბერდიანსკი იქ მდებარეობს და მას შემდეგ, რაც რუსეთმა იქ დიდი ხიდი ააშენა, რომელსაც ახლა რუსეთის საზღვაო ძალები იცავენ, კომერციული ტვირთის მიმოსვლა ფაქტობრივად აღარ მიმდინარეობს.

აზოვი საერთაშორისო ზღვა არ არის, ის რუსეთსა და უკრაინას შორის შიდა ზღვად მიიჩნევა. რუსეთმა აზოვში ყველაფერი ან შეაჩერა ან თავად წყვეტს იმას, რა შევა და რა გავა იქიდან. ეს უკრაინისთვის ძალიან ცუდია. ახლა უკრაინა ფაქტობრივად მხოლოდ ოდესაზეა დამოკიდებული.

ხშირად რუსეთი შავი ზღვის ძალიან დიდ ნაწილს ცოცხალი ამუნიციით წვრთნების ტერიტორიად აცხადებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი გემი, რომელიც ამ ტერიტორიაზე შეცურავს, თავისი უსაფრთხოების რისკს საკუთარ თავზე იღებს. ბიზნესი, ცხადია, ამ წყლებში შესვლისგან თავს შეიკავებს. უკრაინაზე ამასაც ცუდი გავლენა აქვს.

ჩვენ შავი ზღვის რეგიონის მიმართ პოლიტიკა რომ გვქონდეს, უფრო მეტად ვიქნებოდით ზღვაში ჩართული, თუნდაც მონტროს კონვენციის გათვალისწინებით. შეგვეძლო, რომ შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, შავ ზღვაში უფრო მეტი გემი გვყოლოდა.

ასევე კარგი იქნებოდა თურქეთთან უკეთესი ურთიერთობა, რომელიც ამის გამო მეტ თავდაჯერებას იგრძნობდა მონტროს კონვენციის აღსასრულებლად. ეს განსაკუთრებით რუსეთის წყალქვეშა ნავებს ეხება, რომლებიც კონვენციის 12-ე მუხლს არღვევს. თურქეთს შეუძლია მიიღოს ზომები, რომლებიც რუსეთს მდგომარეობას გაურთულებს.

მაგრამ, ვფიქრობ, თურქეთი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ თუ რუსეთს რამეს აუკრძალავს და რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ საპასუხო ზომებს მიიღებს, ჩვენ ანკარას დავეხმარებით. ეს, საბოლოო ჯამში, ისევ სტრატეგიის არქონას უკავშირდება.

– თურქეთმა რუსეთის 6 გემი უკვე გაატარა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეში შავი ზღვისკენ. მათ მომავალ კვირას დამატებით რამდენიმე გემი შეუერთდება. თქვენ ამბობთ, რომ თურქეთი მონტროს კონვენციის ყველა ასპექტს არ იცავს რუსეთის საპასუხო ნაბიჯების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ თურქეთი ნატოს ერთ-ერთი წევრია, რომელიც ბოლო პერიოდში ალიანსის ერთობას საფრთხეს უქმნის. ხომ არ არის ეს თურქეთის მცდელობა ნატოს დაანახოს, რომ ის მეტად ანგარიშგასაწევი მოკავშირეა?

– მონტროს თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთი შავი ზღვის აუზის ქვეყანაა, ზღვაში საკუთარი გემების გადაადგილების უფლება აქვს. ამაში არასწორი ან არაკანონიერი არაფერია. მე ვსაუბრობ იმაზე, რაც უკანონოა. ეს წყალქვეშა ნავებს ეხება. მათ შავ ზღვაში 7 წყალქვეშა ნავი ჰყავთ, რაც წარმოუდგენლად მაღალი რიცხვია ისეთი პატარა ზღვისთვის, როგორიც შავი ზღვაა.

როდესაც ეს ნავები ზღვიდან გადიან, მონტროს კონვენციის თანახმად, მათ უფლება აქვთ მხოლოდ, მივიდნენ რუსულ ბაზაზე სადმე სხვაგან და ისიც შეკეთება-პროფილაქტიკისთვის. ერთ-ერთი წყალქვეშა ნავი უკვე ერთ წელზე მეტია გასულია, შავი ზღვიდან. საბოლოო დანიშნულების ადგილზე მისვლამდე მან ხმელთაშუა ზღვაში და ატლანტის ოკეანეში ოპერაციები ჩატარა. ეს ყველაფერი არც ისე რთული გასარკვევია.

თურქეთს შეუძლია რუსეთს უთხრას, რომ შენ მონტროს კონვენცია დაარღვიე და ამის გამო მე ჩემი სრუტეების გამოყენებას მომავალი 6 თვე გიკრძალავ ან რაიმე სხვა მსგავსი. კრემლი ამის გამო ანკარაზე ძალიან გაბრაზდება.

გახსოვთ, ალბათ, 2015 წელს თურქეთმა რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდო, რომელიც თურქეთის საჰაერო სივრცეს არღვევდა. ამას რუსეთის მხრიდან მკაცრი და სწრაფი ეკონომიკური სანქციები მოჰყვა, რომლებმაც თურქეთზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. აი, ამას ვგულისხმობ, რომ თურქეთს რუსეთის საპასუხო ნაბიჯები არ სურს.

არ მგონია, თურქეთი რუსეთს ყველაფრის უფლებას აძლევდეს, რაც მოსკოვს სურს. ანკარა მტკიცედ აცხადებს, რომ ყირიმი უკრაინის ნაწილია, ცოტა ხნის წინ უკრაინას დრონები გაუგზავნა. ვფიქრობ, პრეზიდენტი ერდოღანი ბევრ რამეში ეწინააღდეგება რუსეთს, მაგრამ თურქეთი რუსეთის სამეზობლოშია და რუსეთს ანგარიში უნდა გაუწიოს. ვფიქრობ, თურქეთს ჩვენი იმედი მეტად რომ ჰქონდეს, უფრო მეტს გააკეთებდა.

– შავ ზღვაზე საუბრისას საქართველოზეც უნდა ვისაუბროთ. თქვენი აზრით, რა როლი აქვს საქართველოს შავი ზღვის უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ ვითარებაში?

– ვფიქრობ, საქართველომ ეს უნდა გამოიყენოს, როგორც შესაძლებლობა. კონგრესის თითოეულ წევრს ახლა შეუძლია შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყნის ჩამოთვლა, სწორედ იმის გამო, რომ რეგიონს ამდენ ყურადღებას უთმობენ.

პენტაგონი, ბიზნესი, მედია, ყველა უკრაინას და შავ ზღვას აკვირდება. ამიტომაც, საქართველოსთვის ეს შესაძლებლობა უნდა იყოს, რომ საკუთარი თავისკენაც მიიზიდოს ყურადღება და ყველას უთხრას, რომ შემომხედეთ, მე შემიძლია დახმარება გაგიწიოთ ამ სტრატეგიულ რეგიონში.

ეს არაჩვეულებრივი დროა იმისთვის, რომ ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად არაგეგმიური წვრთნები ჩატარდეს. მე ასევე ვისურვებდი, რომ შეიქმნას რაღაც ინფრასტრუქტურა ამერიკის საროტაციო ნაწილებისთვის, გაკეთდეს რაღაც იმისთვის, რომ ქვეყანა ამერიკის საზღვაო ძალებისთვის, საჰაერო ძალებისთვის იყოს უფრო მეტად მიმზიდველი.

ამასთან, საქართველომ უნდა დაუსვას საკუთარ თავს შეკითხვა, არის თუ არა ის მზად ბიზნესის, ინვესტიციის მისაღებად. თუ გერმანული, ფრანგული, იტალიური, ჰოლანდიური ბიზნესი საქართველოში დიდ ფულს ჩადებს, ამ ქვეყნების პარლამენტები საქართველოს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ და მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე იზრუნებენ.

– საქართველოს მთავრობა ფრთხილ პოლიტიკას ირჩევს და რუსეთ-უკრაინის კონტექსტში ცდილობს რუსეთის ზემდეტი ყურადღება არ მიიქციოს. შეიძლება იცით ამის შესახებ, პარლამენტმა მიიღო უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია, რომელშიც სიტყვა რუსეთი არ წერია. რა ფიქრობთ ამ მიდგომაზე?

– ვფიქრობ, ეს ცარიელი ქაღალდია. სამწუხაროდ, ეს აზრს მოკლებული რეზოლუციაა. ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა – ესენიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები არიან. მათ არანაირი პრობლემა არ აქვთ, ხმამაღლა ისაუბრონ იმაზე, თუ ვინ არის აგრესორი და რა არის საფრთხე. საქართველოს უნდა სჯეროდეს რაღაცის. ვფიქრობ საქართველოს ახალგაზრდა თაობა ამას იმსახურებს.

კარგად მესმის, რომ საქართველო რუსეთის მეზობელია. მესმის. ესტონეთს რუსეთისგან მდინარე ჰყოფს. ნორვეგიას რუსეთთან საზღვარი და საზიარო სანაოსნო წყლები აქვს... სხვა ქვეყნებიც არიან რუსეთის მეზობლები, მაგრამ მათ მოახერხეს გამოსავლის გამონახვა. საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელსაც ძლიერი ჯარისკაცები ჰყავს და მთიანი ლანდშაფტი აქვს. ქვეყანას უნდა სჯეროდეს რაღაცის. როცა მთავრობა რეზოლუციას გზავნის და უკრაინას მხარს უჭერს, მაგრამ არ ამბობს რის წინააღმდეგ უჭერს მხარს, არ ვიცი, რამდენად ღირებულია ეს.

ია მეურმიშვილი

<u>რედაქციისგან:</u> როგორც ამ ჩამოწერილი ამერიკელი გენერლის ბოლო შეკითხვის პასუხიდან ჩანს, ამერიკელი პოლიტიკოსები და გენერლები აზრზე არ არიან, რა ხდება საქართველოში!.. და კიდევ ერთი, თვითონ უკრაინელები, კერძოდ, ხელისუფლება, იწონებს საქართველოს პარლამენტის მხარდასაჭერ რეზოლუციას, მაგრამ აშკარაა, რომ არ მოსწონთ ნაციონალთა მხარდამჭერ დასავლურ ძალებს. ამ მდგომარეობაშია სწორედ ძალად გაპოლიტიკოსებული გენერალი ბენ ჰოჯესიც!

გუშინ და... მილიონი წლის წინათ!

ბაიდენი უკრაინის გამო რუსეთთან არ იომებს!..

თუ რუსეთსა და უკრაინას შორის ომი იქნება, პრეზიდენტი ბაიდენი ამ ომში რუსეთთან საბრძოლველად ამერიკული ძალების გაგზავნას არ აპირებს, — განაცხადა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა, ჯეიკ სალივანმა.

„ბოლო 10 დღის განმავლობაში, რუსული ძალების მკვეთრი გაძლიერება ვიხილეთ. მათ სამხედრო მოქმედების დაწყება პრაქტიკულად ნებისმიერ დროს შეუძლიათ. ამის გაკეთება მიმდინარე კვირას შეუძლიათ, თუმცა, რა თქმა უნდა, პუტინის მხრიდან ჯერ კიდევ ელოდებიან ბრძანებას“, — აღნიშნა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა.

ჯეიკ სალივანის თქმით, თუ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ მასშტაბური სამხედრო ქმედებების განხორციელებას გადაწყვეტს, აშშ მზად არის, მტკიცე პასუხი გასცეს ამას. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება, აშშ გააგრძელებს უკრაინის მხარდაჭერას.

„გავაგრძელებთ უკრაინის მხარდაჭერას. მკაცრი და სწრაფი ეკონომიკური ზომები დაწესდება, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის ფინანსურ სისტემასა და მის თავდაცვით და სამრეწველო ბაზას. ასევე გავაძლიერებთ ნატოს ტერიტორიას, აღმოსავლეთ ფლანგზე მყოფ ჩვენს მოკავშირეებს დავამშვიდებთ და რუსეთს ნატოს მოკავშირეების წინააღმდეგ ყოველგვარი ქმედებებისგან შევაკავებთ“, — აღნიშნა ჯეიკ სალივანმა.

უკრაინა ჰიბრიდული ომის მძლავრ ტალღას განიცდის

უკრაინის უსაფრთხოების სამსახური (**სბუ**) აცხადებს, რომ უკრაინა ჰიბრიდული ომის მძლავრ ტალღას განიცდის, რისთვისაც სოციალური ქსელები და მედია გამოიყენება.

„დღეს შიდა საინფორმაციო სივრცე უპრეცედენტო გავლენის ქვეშ იმყოფება. უკრაინა პანიკის სისტემური გამწვავების, ყალბი ინფორმაციის გავრცელებისა და რეალური მდგომარეობის დამახინჯების მცდელობების წინაშე დგას. ყველაფერი ეს სხვა არაფერია, თუ არა ჰიბრიდული ომის კიდევ ერთი ძლიერი ტალღა“, — ნათქვამია უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის განცხადებაში. უწყებაში აღნიშნავენ, რომ მოვლენების განვითარების სხვადასხვა სცენარს აანალიზებენ და თითოეულ სცენარზე რეაგირების მკაფიო გეგმა აქვთ.

„ამავდროულად, ჩვენ კარგად გვესმის დღევანდელი საინფორმაციო ზეწოლის მოტივები: უკრაინულ საზოგადოებაში განგაშის დათესვა, სახელმწიფოს შესაძლებლობისადმი რწმენის შერყევა, ჩვენი ერთიანობის შელახვა. უკრაინის უსაფრთხოების სამსახური ჰიბრიდული ომის ამგვარ გამოვლინებებს სოციალურ ქსელებში, ზოგიერთ მედიასაშუალებასა და ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ აგრესორი ქვეყნის შესახებ ნარატივების გავრცელებაში აფიქსირებს. არა მხოლოდ ვაფიქსირებთ ამას, არამედ აქტიურადაც ვეწინააღმდეგებით ამგვარ გამოვლინებებს. თუმცა, ახლა ჩვენს ქვეყანაში სტაბილურობა და მშვიდობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მთავრობაზე, არამედ ყველა უკრაინელის დაბალანსებულ ქმედებებზე“, — აღნიშნულია განცხადებაში.



კოსმოსური კატასტროფამ გამოიწვია დინოზავრების გადაშენება

ასტრონომიის მოყვარულებმა იციან, რაოდენ დიდია კოსმოსური ფაქტორების როლი დედამიწის რელიეფის ფორმირებასა და ჩვენი პლანეტის კლიმატის შესაძლო ცვლილებებში. სახელდობრ, უკანასკნელ ათწლეულებში დედამიწის ზედაპირის ინტენსიური შესწავლა, განსაკუთრებით კი კოსმოსური ხომალდებიდან ჩატარებული სისტემატური დაკვირვებების წყალობით, დედამიწაზე არსებული ათეულობით მნიშვნელოვანი ზომის კრატერის აღმოჩნდა, რომელთა წარმოშობა ჩვენს პლანეტასთან ციურ სხეულთა შეჯახებებს უნდა უკავშირდებოდეს. ამაზე მეტყველებს ცალკეულ კრატერთა ასაკის განსაზღვრა მათი ნაპირების ეროზიულობის ხარისხის შეფასებაზე დაყრდნობით და კრატერის წარმოქმნის ეპოქის შესაბამის გეოლოგიურ ქანებში ზოგიერთი მძიმე ელემენტის (ლითონების) ისეთი დოზებით არსებობა, რაც ნაკლებად დამახასიათებელია დედამიწის ქერქისათვის, სამაგიეროდ კი ტიპურია კოსმოსურ სხეულთა — მეტეორიტებისა და მცირე ცთომილებისათვის.

ნათქვამი ეყრდნობა იმ დადგენილ ფაქტს, რომ დედამიწის ქერქის სისქე დროთა განმავლობაში განუწყვეტლივ იზრდება კოსმოსიდან მეტეორიტული მატერიის მუდმივი ცვენის გამო, ამიტომ ქერქის ვერტიკალურ ჭრილში ყოველი უფრო გარეთა ფენა უფრო გვიანდელია მისივე ნებისმიერ შიდა ფენასთან შედარებით, და საერთოდ, ყოველი შიდა ფენა წარსულის სრულიად განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაშია წარმოქმნილი. აღნიშნულ ქიმიურ ელემენტთა ჭარბი შემცველობა აშკარად მიუთითებს შესაბამის კრატერთა წარმოქმნაში კოსმოსიდან ჩამოვარდნილი სხეულის მონაწილეობაზე, ხოლო ის, რომ ჭარბი, კოსმოსური შემცველობა დედამიწის სრულიად სხვადასხვა, ერთმანეთისგან ძლიერ დაშორებულ რეგიონებში დასტურდება (სხვადასხვა კონტინენტებზეც კი), თვით კრატერთა გრანდიოზულ ზომებთან ერთად (ათეულობით და ასეულობით კმ), იმაზე მეტყველებს, რომ ამ კრატერთა წარმოქმნა რაღაც გლობალური მოვლენის, ენერგეტიკულად დიდმასშტაბიანი პროცესის, კერძოდ კი ძალიან დიდი მასისა და უზარმაზარი კინეტიკური ენერგიის მფლობელი ციური სხეულების ჩვენს პლანეტასთან შეჯახების შედეგი უნდა იყოს. ლაპარაკია 1 კმ, 10 კმ და კიდევ უფრო დიდი ზომის სხეულებზე.

ამგვარი შეჯახებები რომ სამყაროში ნამდვილად ხდება, ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს მთვარის, მერკურის, მარსისა და ათასობით მცირე პლანეტის (ასტეროიდების სარტყელთა წევრების) ზედაპირის რუკები, სადაც ათიათასობით მსგავსი კრატერი შეიმჩნევა, ამდენად ჩვენს პლანეტაზე მსგავსი ასტროგლემების (ვარსკვლავიერი ჭრილოგების) აღმოჩენით რაიმე ფანტასტიკური კი არ მომხდარა, არამედ დედამიწა შევიდა მსგავსი გეოლოგიური წარმონაძმნების მძონე ციურ სხეულთა რიგში. სხვანაირად არც შეიძლებოდა - ჩვენი პლანეტა კოსმოსის ისეთივე რიგითი ბინადარია, როგორიც სხვა კოსმოსური სხეულები, და იგი თავისი ისტორიის ოთხმილიარდწლოვან პერიოდში ვერასგზით ვერ ასცდებოდა კოსმოსის ზემოქმედებას.

მკვლევართა აზრით, დიდი ალბათობით კოსმოსური წარმოშობის უნდა იყოს 100 კმ-იანი წრიული სტრუქტურები აღმოსავლეთ ციმბირსა და რუსეთის ევროპულ ნაწილში (ქ. ნიჟნი ნოვგოროდის ახლოს), უკრაინაში (პოლტიში) არსებული 25 კმ-იანი კრატერი, გიგანტური კრატერები ანტარქტიდაში, ბარენცის ზღვაში, აფრიკაში („ვრედეფორდი“ — 200 კმ, „ბოსუმტვი“), ავსტრალიაში („ტნორალა“, 22 კმ დიამეტრის წრიული, კლდოვანი მთებით შემოსაზღვრული ღრმული), ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე განლაგებული, მრავალრიცხოვან კრატერთაგან შედგენილი ჯგუფები, რომელთა წარმოქმნას ე.წ. მეტეორიტული წვიმის მოვლენას უკავშირებენ, და სხვ. ამ წარმონაქმნთა შემსწავლელი მეცნიერების დარგს შეიძლება ასტროგეოლოგიაც ეწოდოს.

კვლევის ეს სფერო უაღრესად საინტერესოა მთელი პლანეტისა და ასევე დედამიწის ცივილიზაციის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც, ვინაიდან თითოეული ზემძლავრი კოსმოსური შეჯახება არა მარტო ლოკალურ ლანდშაფტს ცვლის გრანდიოზული ქვაბურის შექმნით, არამედ გლობალურ ცვლილებებსაც იწვევს დედამიწაზე, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა - კატასტროფებს: პირველ რიგში პლანეტის ტექტონიკურ რყევებს, დედამიწის დეფორმირებული ქერქიდან გავარვარებული მაგმის მძლავრ ამოტყორცნებს, ზემძლავრ მიწისძვრებს, ვულკანთა ამოფრქვევების გახშირებას, ცუნამებს, და შესაბამისად, ათეულობით მეტრი სიმაღლისა და ასეულობით კმ/სთ სიჩქარის მქონე ტალღების აღძვრას ოკეანეში. ყველა ეს მოვლენა კი ერთობლიობაში უჩვეულოდ ცვლის პლანეტის ზედაპირზე არსებულ ფიზიკურ პირობებს. ამას გარდა, უზარმაზარი კოსმოსური სხეულის შეჯახება დედამიწასთან მზის სისტემის სხეულებისთვის დამახასიათებელი გრანდიოზული სიჩქარეებით **(თვით დედამიწის ორბიტული სიჩქარე საშუალოდ 30 კმ/წმ-ია, სხვა ციურ სხეულთან ჩვენი პლანეტის შეხვედრის სიჩქარე კი ამ სიდიდეზე 2-3-ჯერ მეტიც შეიძლება იყოს!)** წარმოუდგენლად მაღალ წნევასა და ტემპერატურას წარმოქმნის შეჯახების ადგილზე, რაც საბოლოოდ განაპირობებს ზემძლავრ აფეთქებებს — როგორც შეჯახებაში მონაწილე კოსმოსური სხეულის, ისე მომავალი მიწიერი კრატერის მთელი ნივთიერება ერთბაშად ბელტებისა და მტვრის გროვად იქცევა, რომელიც შემოეკვრება მთელ პლანეტას და წლების განმავლობაში მზის სხივებისთვის გაუვალ მტვრის სქელ გარსს შექმნის. ამის დედამიწაზე საგრძნობლად აცივდება, ძლიერ შეიცვლება ატმოსფეროს ქიმიური შედგენილობაც და შეიქმნება მრავალი ბიოლოგიური სახეობისთვის აუტანელი საცხოვრებელი პირობები. ასე რომ, დედამიწასთან ყოველი კოსმოსური შეჯახება ძლიერ კვალს ამჩნევს მრავალი ბიოლოგიური სახეობის ისტორიას - იწვევს მათში სერიოზულ ცვლილებებს, ხშირად კი სახეობის სრულ გადაშენებასაც. ეს ცვლილებები ნახტომისებურია, მათ კოლოსალური მასშტაბები აქვთ, ამიტომ სრულიად ჩრდილავენ ბუნებაში ისედაც განუწყვეტლივ მიმდინარე, გარემო პირობების თანდათანობითი ცვლით და სახეობათაშორისი ურთიერთობებით განპირობებულ ევოლუციურ ანუ მცირემასშტაბიან და ნელ ცვლილებებს. აქედან კი ჩანს, რომ კოსმოსური, მეტეორიტული შეჯახებანი მოვლენათა მთელ სპექტრს ქმნის და თანაბრად საინტერესოა პლანეტათმცოდნეების, ცის მექანიკოსების, ბიოლოგების, ისტორიკოსების, ფიზიკოსების, ქიმიკოსების, გეოლოგების, კლიმატოლოგების და კიდევ ვინ იცის, რამდენი სხვა სპეციალობის მეცნიერთათვის, ასევე მოსახლეობის ყველა ფენისთვისაც.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემა მთელი სერიოზულობით უნდა იქნას შესწავლილი ყველა პარამეტრისა და ყველა კერძო მეცნიერების თვალსაზრისით, რათა ესა თუ ის ჰიპოთეზა, მკაცრი ექსპერიმენტული ან თეორიული დასაბუთების შემდეგ, ნამდვილ თეორიად იქცეს და არ დარჩეს მიმზიდველ, მაგრამ რეალობას მოკლებულ მოსაზრებად.

მაგალითად, იმავე დინოზავრების მასობრივ გადაშენებას დედამიწაზე სხვადასხვა დარგის მკვლევრები (თუნდაც ბიოლოგები) ხშირად უკავშირებდნენ არა კოსმოსურ ფაქტორებს, არამედ უფრო ნაკლებმასშტაბიან, მიწიერ პროცესებს, ვთქვათ ზღვა-ოკეანეების დონის ხანგრძლივ ცვალებადობას, აქედან გამომდინარე კი ხმელეთის ფართობის საგრძნობ ვარიაციებს, მათ შორის მრავალი ბიოლოგიური სახეობის გავრცელების არეალთა კატასტროფულ შემცირებებს; იყო თითქოსდა ექსპერიმენტებზე დამყარებული მტკიცებანი იმისა, რომ დინოზავრები 67 მილიონი წლის წინ უეცრად (გეოქრონოლოგიური სკალის მასშტაბების თვალსაზრისით) კი არ გადაშენდნენ, არამედ თანდათანობით, მითითებული კოსმოსური მოვლენიდან (10 კმ-ზე მეტი ზომის მცირე ცთომილის შეჯახებიდან ჩვენს პლანეტასთან, რომლის ნაკვალევია მექსიკაში იუკატანის ნახევარკუნძულზე არსებული 180 კმ დიამეტრიანი კრატერი) დიდი დროის, ანუ მილიონობით წლის განმავლობაში. ამდენად, შოკისმომგვრელი „ციური“ ჰიპოთეზის წამოყენების შემდეგ საჭირო იყო სერიოზული კვლევები, როგორც წმინდა ბიოლოგიური (სახეობათა პარამეტრების რაოდენობრივი შესწავლა), ასევე ევოლუციური (ცოცხალ არსებათა განვითარება), ასტრონომიული, გეოლოგიური და სხვ. ასპექტებით, რათა პრობლემა გამოკვლეულიყო კომპლექსურად.

სწორედ ამგვარ კვლევათა შეჯამებას წარმოადგენს ორი სტატია, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „В мире науки“-ში („მეცნიერების სამყაროში“, Scientific American). პირველის **(„ძუძუმწოვართა აღზევება“)** ავტორები არიან პალეონტოლოგები **სტივენ ბრიუსატი** (ედინბურგის უნივერსიტეტი, შოტლანდია) და **ჩუე-სი ლო** (ჩიკაგოს უნივერსიტეტი, აშშ), მეორისა კი **(„რამ იმსხვერპლა დინოზავრები“)** — წინა სტატიის პირველი ავტორი. ეს ნაშრომები მნიშვნელოვანწილად ეხმიანებიან ერთმანეთს, და თუმცა დინოზავრთა გადაშენებაში გამოკვეთილია წმინდა ბიოლოგიური ასპექტის — ამ სახეობის ევოლუციის თავისებურ სტადიაზე ყოფნის არსებითი როლიც, მაინც დადასტურებულია თვით გადაშენების პროცესის ხანმოკლეობა ანუ ნახტომისებურობა, და, აქედან გამომდინარე, სერიოზული მხარდაჭერაც, სწორედ კოსმოსური ფაქტორის — მეტეორიტთან შეჯახებისა და მისით გამოწვეული ნახტომისებური ბიოლოგიური ცვლილების ჰიპოთეზისადმი.

შალვა საბაშვილი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

(გაგრძელება იძნება)

მეტეორების შეჯახებები რომ სამყაროში ნამდვილად ხდება, ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს მთვარის, მერკურის, მარსისა და ათასობით მცირე პლანეტის ზედაპირის რუკები, სადაც ათიათასობით მსგავსი კრატერი შეიმჩნევა. ჩვენი პლანეტა კოსმოსის ისეთივე რიგითი ბინადარია, როგორიც სხვა კოსმოსური სხეულები, და იგი თავისი ისტორიის ოთხმილიარდწლოვან პერიოდში ვერასგზით ვერ ასცდებოდა კოსმოსის ზემოქმედებას.

◎ ხუთი რგოლი

სადაგი დღეები

ხვალ საქართველოს დელეგაციისთვის თეთრი ოლიმპიადის ფინიშია, რადგან „ჯვაროსანთაგან“ უკანასკნელი სამთო-სათხილამურო ტრასაზე სლალომში სოსო ჯაფარიძე დაეშვება.

მანამდე მან გიგანტურ სლალომში იასპარეზა, მაგრამ პირველივე ცდაზე გამოტოვა კარი და დისტანცია ვერ დაასრულა. სულ 89 მონაწილიდან ჩვენი თანამემამულის ბედი თითქმის ნახევარმა — 43-მა თავგადასავალთა მაძიებელმა გაიზიარა, პრიზიორები კი გახდნენ: ოდერმატი (შვეიცარია), კრანიეცი (სლოვენია) და ფევრი (საფრანგეთი).

წარმატებულად შეიძლება შეფასდეს ფიგურული სრიალის მოცეკვავეთა ტურნირში **მარია კაზაკოვასა** და **გიორგი რევიას** წყვილის გამოსვლა, რომელმაც ჯერ 23 დუეტის დავაში აჩვენა მე-18 შედეგი (მოკლე პროგრამა) და ფინალისტთა ოცეულში მოხვდა, ხოლო შემდეგ თავისუფალი პროგრამითაც შეძლებისდაგვარად ისრიალა და საბოლოოდ მე-19 ადგილი დაიკავა. აღნიშნულ კატეგორიაში უცვლელი დარჩა პირველ დღეს მომავალ მედალოსანთა მიერ განაწილებული პოზიციები: პაპადაკისი — ციზერონი (საფრანგეთი), სინიცინა — კაცალაპოვი (რუსეთი) და ჰუბელი — დონაჰიუ (აშშ).

ჩემპიონთა გალერეა

სამთო თხილამურები. გუტ-ბეჰრამი (შვეიცარია);

ბიატლონი. როისელანდი, ბო (რივე — ნორვეგია), მეიე (საფრანგეთი);

თხილამურებით რბენა. ნისკანენი (ფინეთი), რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ქალთა და ვაჟთა გუნდები;

შორტ-ტრეკი. ნიდერლანდები, შოლტინგი (ნიდერლანდები), ლიუ (უნგრეთი);

სკელეტონი. გროტერი, ნაისი (ორივე — გერმანია);

სნოუბორდი. ჰირანო (იაპონია), აშშ;

ციგურებით რბენა. ვან დერ პოული (შვედეთი), გაო(ჩინეთი), ჯექსონი (აშშ);

ტრამპლინიდან ხტომა. ლინდვიკი (ნორვეგია).

მედალოსანთა ნაღავლი

ნორვეგია — 21 (9, 5, 7), გერმანია — 14 (8, 5, 1), აშშ — 12 (6, 5, 1), ნიდერლანდები — 12 (6, 4, 2), შვედეთი — 11 (5, 3, 3), ავსტრია — 14 (4, 6, 4), რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი — 17 (4, 5, 8), ჩინეთი — 9 (4, 3, 2), შვეიცარია — 8 (3, 0, 5). 2-2 „ოქრო“ მოიპოვეს საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ და სლოვენიამ, ხოლო თითო-თითო — კანადამ, კორეამ, ავსტრალიამ, ფინეთმა, უნგრეთმა, ჩეხეთმა, ახალმა ზელანდიამ და სლოვაკეთმა.

◎ ნანას თასი

იუბილარის საკადრისი

მსოფლიოს ჩემპიონობის ორგზის პრეტენდენტი, საჭადრაკო ოლიმპიადების ხუთგზის, საბჭოთა კავშირის ოთხგზის, გოგონებში ევროპის ორგზის, კონტინენტის გუნდური და საკლუბო ჩემპიონი — ასეთია საქართველოს საამაყო შვილის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის 1985 წლის კურსდამთავრებულის ნანა იოსელიანის სადარბაზო ბარათის შემოკლებული ვარიანტი, რომელსაც ამ დღეებში 60 წელი შეუსრულდა.

სახელოვანი დიდოსტატის საიუბილეო თარიღს ჭადრაკის ეროვნულმა ფედერაციამ სამდღიანი „ნანას თასის გათამაშება“ მიუძღვნა დროის კონტროლით — 10-10 წუთი პარტიაზე 2-2 წამის დამატებით ყოველ სვლაზე სამ კატეგორიაში. გაეცანით ტურნირის პრიზიორთა ვინაობას.

ქალები. 11 მონაწილე (მათ შორის 1 დიდოსტატი და 6 საერთაშორისო ოსტატი). შვეიცარიული სისტემა. მერი არაბიძე, მაკა ფურცელაძე, სოფიკო ხუხაშვილი;

ვაჟები. 14 მონაწილე (მათ შორის 7 დიდოსტატი). შვეიცარიული სისტემა. კონსტანტინე შანავა, ლევან ფანცულაია, გიგა ყუფარაძე;

13-წლამდელები. 7 ტური. **გოგონები.** მარიამ სორდია, ანასტასია ზარქუა, თეკლა კოღუაშვილი. **ბიჭები.** ლუკა კილაძე, ერეკლე ტაბატაძე, თამაზ თუშიშვილი.

◎ ფორუმზე

მინდიაური მინსკში

ოთხი მედლით აღნიშნეს ქართველმა სამბისტებმა ბელარუსის დედაქალაქ მინსკში დაწყებული ევროპის თასის გათამაშების სასტარტო დღე.



განსაკუთრებით გვასახელა **მინდია ლილუაშვილმა** (71 კგ), რომელმაც ფინალური ბრძოლა სომეხ კარლენ მახინიანს 4:0 მოუგო და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ააბიჯა.

მხოლოდ გადამწყვეტი შეხვედრები დათმეს და ვერცხლის პრიზიორები გახდნენ **ელენე ქებაძე** (+80 კგ) და **გიორგი ზაქარიაძე** (+98 კგ), ხოლო ამავე წონით კატეგორიაში მესამე ადგილი **დავით ლორიაშვილმა** დაიკავა.

ჩვენი ნაკრებიდან ჯილდოებს შეუტევენ აგრეთვე გიორგი ნასყიდაშვილი (64 კგ), ერეკლე ოძელაშვილი, ომარ ნიაზაშვილი, ბესარიონ ბერულავა (სამივე — 79 კგ) და პაატა ღვინიაშვილი (98 კგ).

◎ ჩემპიონთა ლიგა

კენწეროში გაჭკბილდების...

წყალბურთში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში ცხელი ზამთარია, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება, რადგან კოვიდინფიცირებული თავკაცის — დეიან სტანოიევიჩის გარეშე დარჩენილი ისედაც აუტსაიდერი თბილისის „დინამო“ ზედიზედ მეცხრედ დამარცხდა, ამჯერად სერბეთში — მთლიანად ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ „ნოვი ბელგრადთან“, რომლის სპორტულ ღირსებასაც ხუთი ოლიმპიური ჩემპიონის მხარდამხარ ყოფილი დინამოელი ნიკა შუშიაშვილი იცავს — 7:19 %!:5, 2:2, 2:6, 2:6).

დანარჩენი შედეგები: „რადნიჩკი“ — „ბარსელონეტა“ 3:9, „იადრანი“ — „ტელეკომი“ 9:7, „ოლიმპიაკოსი“ — „ბრეშა“ 5:8.

„ა“ ჯგუფის სატურნირო ცხრილი: „ბრეშა“ — 23, „ნოვი ბელგრადი“ — 17, „ტელეკომი“, „ოლიმპიაკოსი“ 16-16, „ბარსელონეტა“ — 14, „იადრანი“ — 9, „რადნიჩკი“ — 7, „დინამო“ — 0 ქულა.

23 თებერვალს ითამაშებენ: „დინამო“ — „რადნიჩკი“, „ტელეკომი“ — „ბარსელონეტა“, „იადრანი“ — „ოლიმპიაკოსი“, „ბრეშა“ — „ნოვი ბელგრადი“.

◎ მოვლენის წინ

რობერტის პოლონეზი

ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ევროტურნირის მუდმივი ფავორიტი მიუნხენის „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის განახლებულ სეზონში ხვალ გასვლითი მერვედფინალური მატჩით ჩაებმება ავსტრიულ „ზალცბურგთან“.

მუხლზე ახალნაოპერაციევი მანუელ ნოიერის არყოფნაში კიდევ უფრო იზრდება რეკორდმაისტერის პოლონელი ლიდერის **რობერტ ლევანდოვსკის** როლი.

ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ბავარიული გრანდის სნაიპერის ინტერვიუს, რომელიც მისი სამშობლოს წამყვან სპორტულ გაზეთ „პილკა ნოჟნაში“ გამოქვეყნდა. ბუნებრივია, ადამიანმა-გოლმა სხვა აქტუალურ თემებზეც გულახდილად ისაუბრა.

დარწმუნებულნი ვართ, განსაკუთრებით საგულისხმოდ მოგეჩვენებათ მისი შეხედულებები „ოქროს ბურთზე“, ფიფას პრიზზე, მესი-რონალდუს დუეტსა და ჰალანდის ფენომენზე, ვიდეოგამეორებაზე...

„ჩვენ ყოველთვის ტიტულებისთვის ვიბრძვით, ამიტომ მთავარია ჯანმრთელნი ვიყოთ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდებში და ზუსტად განვსაზღვროთ, როდის მივაღწიოთ ფიზიკური კონდიციების პიკს, მათ შორის, როგორც ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებმა“;

„რაც შეეხება ორ ინდივიდუალურ ჯილდოს, მიმაჩნია, რომ ფიფას პრიზს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი ლაურეატის გამოსავლენად ხმას ჟურნალისტებიც აძლევენ და პროფესიონალებიც — გუნდების კაპიტნები და მწვრთნელები, „ოქროს ბურთის“ მფლობელს კი მხოლოდ მედია ირჩევს. შესაძლოა, ეს უკანასკნელი უფრო პრესტიჟულია, მაგრამ ფიფას პრიზის ზედიზედ ორჯერ მიღება სიამაყის საფუძველს მაძლევს, რადგან ვიცი, როგორ ვშრომობდი მრავალი წლის განმავლობაში“.

„მესი და რონალდუ სხვადასხვა ტიპის მოთამაშეები არიან, რომლებმაც კლუბები გამოიცვალეს. არგენტინელისთვის ეს, რა თქმა უნდა, გამაოგნებელი გამოცდილებაა. მას ესპანეთის გარდა არსად უთამაშია, არასოდეს სხვა ენაზე არ უსაუბრია და ეს დამატებითი ბარიერია.

ჩემზე 3 წლით უფროსმა პორტუგალიელმა კი უკვე რამდენჯერმე შეიცვალა როგორც კლუბები, ისე ჩემპიონატები. მას ნისლიან ალბიონზე სხვა ტაქტიკა დახვდა და ასაკის მატებასთან ერთად თანდათან გაუჭირდება ძველი სტატისტიკის შენარჩუნება“.

„რა თქმა უნდა, ერლინგ ჰალანდი შესანიშნავი მოთამაშეა და ჩემგან განსხვავებით, სისწრაფითა და სიმძლავრით გამოირჩევა, მაგრამ მისი ტალანტი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ნორვეგიელი ვარსკვლავი გახდება“.

„მსაჯების შეცდომების გამო ჩემპიონთა ლიგის ორი ნახევარფინალი და ერთი მეოთხედფინალი წავაგეთ, რამაც შესაძლო ტიტულები დაგვაკარგვინა. ასე რომ, თუ სწორად გამოიყენებენ, ვფიქრობ, რომ ვიდეორეფერი კარგი სისტემაა“.

„დასასრულს, მე უარყოფითად ვაფასებ მსოფლიოს ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვის იდეას, რადგან ისედაც გადატვირთული კალენდარი გვაქვს“.

სანთელი

ლერა ქაშაკაშვილის არდავიწყება

ორმოცი დღე გავიდა ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის გამორჩეული პიროვნების, ღვაწლმოსილი პედაგოგის **ლერა ქაშაკაშვილის** გარდაცვალებიდან, მაგრამ არ ნელდება მწუხარება და ტკივილი, რაც ამ ღირსეულმა ადამიანმა დაგვიტოვა. ამ პერიოდის თითოეული დღე არის მის მიმართ დიდი მონატრებით დატვირთული. უდავოა, რომ ამ კეთილშობილმა, მაღალი ზნეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებამ მართლაც, რომ ჭეშმარიტად სასახელო, მრავალმხრივად საინტერესო ცხოვრების გზა განვლო, რომელიც უკვალოდ არ იკარგება.

დაუღალავმა შრომამ, პიროვნულმა ხიბლმა, პროფესიულმა ალღომ, არაერთი წარმატება მოუტანა მას საზოგადოებრივ და პროფესიულ სარბიელზე. მუდამ მომხიბლავი, ქალური კეკლუცობით დამშვენებული, შინაგანი სითბოთი და სიკეთით გაცისკროვნებული, სულიერი ფასეულობის ერთგული მცველი, ქიმიკოსთა დიდი ოჯახის მართლაც რომ ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება იყო. თავდაუზოგავი შრომით მან არაერთ ბაკალავრს და მაგისტრს გაუკვალა პროფესიული და სამეცნიერო მოღვაწეობის გზა. ახალგაზრდებისადმი სითბო და კეთილგანწყობა საფუძვლად ედო ყველა მის საქმეს.

ლერა ქაშაკაშვილის ადამიანური ღირსებები იყო გულისხმიერება, კეთილშობილება, სითბო და სიყვარული, კოლეგების ტკივილის და ჭირ-ვარამის გაზიარება, მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ნიჭი. სწორედ ამიტომ ჰყავდა მას მეგობრების ფართო წრე, ამიტომ უყვარდათ იგი გამორჩეულად მის კოლეგებსა და მეგობრებს.

სამარადისო ხსოვნა ამ სამაგალითო პიროვნებას.

კოლეგების და მეგობრების სახელით
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი.

თიბისი ბანკს ბრიტანელი აქციონერი უჩივს!

თიბისი ბანკის აქციონერი იან მალქოლმ ჰოქი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, არნე სტენ ბერგრენსა და გენერალურ დირექტორს, ვახტანგ ბუცხრიკიძეს საგანგებო განცხადებით მიმართავს.

„მე გახლავართ იან მალქოლმ ჰოქი, თიბისი ბანკის ბრიტანელი აქციონერი. ჩემთვის მედიიდან გახდა ცნობილი იმ საგანგაშო სამართლებრივი გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ქართულმა სასამართლომ თიბისი ბანკის აქციონერების, ბატონების მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ მიიღო.

ამ გადაწყვეტილებით ჩემთვის ნათელი გახდა, რომ დასახელებულმა აქციონერებმა, ისარგებლეს რა ბანკის მენეჯმენტის მართვაზე წვდომით, არამართლზომიერად მიითვისეს ბანკის კუთვნილი 16 მილიონ აშშ დოლარზე მეტი თანხა და, მიულებელ შემოსავალსაც თუ გავითვალისწინებთ, ბანკი თითქმის 40 მილიონი აშშ დოლარით აზარალეს. აქციების შეძენით მე და ჩემმა მეგობრებმა ჩვენი დანაზოგი ვანდეთ თიბისი ბანკს და ვიმედოვნებთ, რომ არ შევმცდარვართ არჩევანში და ბანკის დღეევანდელი ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს, რათა უზრუნველყოს აქციონერ მამუკა ხაზარაძისა და აქციონერ ბადრი ჯაფარიძის მიერ ბანკიდან უკანონოდ წაღებული ფულის უკან დაბრუნება და მათი არალეგალური სქემებიდან ბანკისთვის და მისი აქციონერებისთვის მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურება.

მინდა დავიჯერო, რომ ბანკის ახლანდელი ხელმძღვანელობა ოპერატიულად გამოეხმაურება ჩემს მიმართვას, დაიცავს ბანკისა და მისი აქციონერების შელახულ ინტერესებს და აანაზღაურებინებს მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს თიბისი ბანკისთვის მიყენებულ 40 მილიონი დოლარის ზარალს, რაც საუკეთესო პირობა იქნება მომავალში ასეთი პრეცედენტების გამოსარიცხად. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ჩემს ამ მიმართვას სხვა აქციონერებიც შემოუერთდებიან, რათა თიბისი ბანკისადმი ნდობა კიდევ უფრო გამყარდეს.

სულთათანა

ჯიმშერ ანელი

86 წლის ასაკში გარდაიცვალა მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, წლების განმავლობაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი, ტექნოლოგიური და ფიზიკური ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმშერ ანელი.

ჯიმშერ ანელმა სამეცნიერო მოღვაწეობა 1965 წლიდან მოსკოვის ა. ნ. ნესმეიანოვის სახელობის ელემენტორგანული ნაერთების ინსტიტუტში ასპირანტურაში ყოფნის ჟამს დაიწყო. ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ალექსანდრ კიტაიგოროდსკის ხელმძღვანელობით ის იკვლევდა ორგანული მყარი სხეულების (მოლეკულური კრისტალების, პოლიმერების) ფიზიკური ქიმიის საკითხებს.

ჯ. ანელის შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება ელექტროგამტარი მასალებით (გრაფიტი, ტექნიკური ნახშირბადი, ლითონური ფხვნილები) შევსებულ პოლიმერებს. ამ მასალების გამტარებლობის არსებული და ორიგინალური მოდელების ანალიზის საფუძველზე ავტორმა შეიმუშავა კონცეფცია, რომლის თანახმადაც პოლიმერული კომპოზიტების ელექტროგამტარობის განმაპირობებელი ფაქტორია კომპოზიტის კომპონენტებს შორის არსებული სამი ტიპის ურთიერთქმედებათა ენერგიების ფარდობა: ა) პოლიმერი-პოლიმერი; ბ) პოლიმერი შემვსები; გ) შემვსები — შემვსები. მან სხვადასხვა პოლიმერული სისტემის საფუძველზე ექსპერიმენტულად აჩვენა, რომ კომპოზიტების გამტარობის მაქსიმუმი ვლინდება კომპოზიტისათვის, რომელშიც აღნიშნულ ურთიერთქმედებათა სიდიდეები ერთი რიგისაა. მრავალი წლის მანძილზე ჩატარებულ კვლევათა შედეგები 1995 წელს საფუძვლად დაედო ჯ. ანელის სადოქტორო დისერტაციას.

ჯ. ანელის მიერ პირველად გამოვლინდა ელექტროგამტარი კომპოზიტების მიერ მოკლე ელექტრომაგნიტური ტალღების შთანთქმის სელექციური ხასიათი, კერძოდ, მისი მაქსიმუმი პირდაპირპროპორციულია კომპოზიტში გამტარი ნაწილაკების განაწილების ხარისხის ერთგვაროვნების. სხვადასხვა პოლიმერული მასალის ლაზერული დასხივებით წარმართული ლაზეროქიმიური რეაქციების შედეგად ჯ. ანელის ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი ტიპის ნახევარგამტარული მასალები, რომელთა ელექტროგამტარობის დიაპაზონი იცვლება დიელექტრიკებიდან ნახევარმეტალურ ნივთიერებებამდე.

სხვადასხვა დროს ჯ. ანელის ხელმძღვანელობით მიღებული სამეცნიერო შედეგები გამოყენებული იყო ზოგიერთი ტექნიკური ელემენტის მისაღებად (მაღალმგრძნობიარე ტენზომეტრები, სხვადასხვა ტიპის პრეციზიული შუნტები), რომლებიც გამოყენებული იყო მოსკოვის ფიზიკის ინსტიტუტის ამაჩქარებლებში მაღალი ენერგიის ელექტრული იმპულსური დენების გასაზომად.

ბატონი ჯ. ანელის სამეცნიერო მოღვაწეობა კარგადაა ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. მისი ნაშრომები იბეჭდებოდა საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში. იგი 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა შორისაა: 8 მონოგრაფია, 5 სახელმძღვანელო და მრავალი პატენტი.

პროფესორი ჯ. ანელი წლების განმავლობაში წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო საქმიანობას პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ჩვეული მაღალი პროფესიონალიზმით კითხულობდა ლექციების კურსს პოლიმერების აღნაგობასა და თვისებებზე საქართველოს ტექნიკურ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. დიდია მისი დამსახურება კვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში. იგი იყო მრავალი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, ოპონენტი და რეცენზენტი. ბატონ ჯიმშერს ახასიათებდა დაუღალავი შრომის უნარი, მოვლენების სწორი შეფასება და სათანადო დასკვნების გამოტანა.

ღვაწლმოსილი მეცნიერისა და ქართველი ინტელიგენტის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლებისა და კოლეგების გულში.

სიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი

ევაკუატორების მძღოლების აქცია ფოთში

ფოთის „გაფორმების ეკონომიკურ ზონასთან“ ევაკუატორების მძღოლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათი თქმით, ახალი რეგულაციის თანახმად, შემოსავლების სამსახური მათ იმ ავტომობილების განბაჟებას ავალდებულებს, რომლის გადაზიდვასაც ისინი პორტებიდან სხვადასხვა ქალაქის მიმართულებით ახორციელებენ.

მძღოლები აცხადებენ, რომ მათ ვალდებულებაში მხოლოდ ავტომობილების ტრანსპორტირება შედის და განბაჟებაზე პასუხისმგებლობის მათთვის დაკისრება ალოგიკური მოთხოვნაა. შიდა გადაზიდვების მძღოლების თქმით, ანგარიშები დაუყადაღეს და საქმიანობის გაგრძელებას ვერ ახერხებენ, რაც მათთვის დამატებით პრობლემებთანაა დაკავშირებული.

ევაკუატორების მძღოლების აქციას შეუერთდნენ საქართველოს ავტოიმპორტიორთა ასოციაციის წარმომადგენლები.

„მე მოვკალი, მაგრამ განზრახ არ მინდოდა“...

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდებულ გოგა გზირიშვილის, რომელმაც ორსული ცოლი მოკლა, წინასასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

„მე მოვკალი, მაგრამ განზრახ არ მინდოდა“, — აცხადებს ბრალდებული და განმარტავს, რომ ის დანაშაულს აღიარებს, თუმცა, ბრალის კვალიფიკაციას არ ეთანხმება.

„დამნაშავედ ვცნობ თავს, მაგრამ მკვლელობა განზრახული არ მქონია. მოვკალი კი, მე დავრეკე პოლიციაში და ვაღიარე, განზრახ არ მინდოდა“, — განაცხადა გზირიშვილმა.

ცნობისთვის, 22 დეკემბერს, თბილისში, ბრალდებულმა გოგა გზირიშვილმა განზრახ მოკვლის მიზნით, დანით ორსულ მეუღლეს — ქეთა კეპულაძეს განსაკუთრებული სისასტიკით, სხეულის სხვადასხვა არეში 30 ჭრილობა მიაყენა. მიყენებული დაზიანებების შედეგად ორსული კეპულაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

გზირიშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, ოჯახის წევრის მიმართ, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მუხიანში ახალგაზრდა კაცის ცხედარი იპოვეს

ბურუსით **მოცული გარდაცვალება — თვითმკვლელობა თუ უბედური შემთხვევა, გუშინ დილით მუხიანში, გობრონიძის ქუჩაზე, მეზობლებმა 35 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. გამოძიებამ უნდა დაადგინოს უბედურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე თუ თვითმკვლელობასთან.**

ცნობილია, რომ გარდაცვლილი „ვაგზლის მოედანზე“ მცირე ბიზნესის მფლობელი იყო. მეზობლები ამბობენ, რომ მას სუიციდის არანაირი მოტივი არ ჰქონდა.

ვიზიტორთა რაოდენობა იზრდება

2022 წლის იანვარში საქართველოში 177 072 საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 424.4 პროცენტით მეტია, — ამის შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ანგარიშშია ნათქვამი.

ანგარიშის მიხედვით, სახმელეთო გზით საერთაშორისო ვიზიტორების მიერ საქართველოში 86 734 ვიზიტი განხორციელდა, საჰაერო გზით — 89 044, საზღვაო გზით — 485 და სარკინიგზო გზით — 809.

კონკრეტული ქვეყნების მონაცემები კი ასეთია: თურქეთი — 31 775 ვიზიტორი, რუსეთი — 28 381 ვიზიტორი, საქართველო (არარეზიდენტი) — 22 119 ვიზიტორი, სომხეთი — 19 606 ვიზიტორი, უკრაინა — 12 631 ვიზიტორი, ისრაელი — 8 240 ვიზიტორი, აზერბაიჯანი — 7 221 ვიზიტორი, ყაზახეთი — 4 552 ვიზიტორი, საუდის არაბეთი — 4 439 ვიზიტორი, ირანი — 4 083 ვიზიტორი, ბელარუსი — 3 678 ვიზიტორი, უზბეკეთი — 3 339 ვიზიტორი, ფილიპინები — 2 026 ვიზიტორი, ინდოეთი — 1 927 ვიზიტორი, პოლონეთი — 1 849 ვიზიტორი.

„მეწარმე ქალთა სკოლა“

ბიზნესში ქალთა ლიდერობის მხარდაჭერის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) და საქართველოს ბანკმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ამ თანამშრომლობის ფარგლებში, ისინი უპრეცედენტო დახმარებას გაუწევენ ქალების მიერ შექმნილ ორასამდე დამწყებ საწარმოს, რაც მცირე და საშუალო ბიზნეს-გარემოში თამაშის წესების შეცვლას შეუწყობს ხელს.

„მეწარმე ქალთა სკოლა“, რომელიც ამ პარტნიორობის ფარგლებში დაარსდება, მეწარმე ქალებს მათი ბიზნესის განვითარების ერთერთ საუკეთესო მოდელს, ბიზნესის ხელშეწყობის 360-გრადუსიან მიდგომას შესთავაზებს. ეს უნიკალური მოდელი ახლადშექმნილი საწარმოს მხარდაჭერის სრულ ციკლს ითვალისწინებს და ოთხ ძირითად სფეროს მოიცავს — თეორიულ განათლებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას, დაფინანსებაზე წვდომასა და ძლიერი საპარტნიორო ქსელის შექმნას.

ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ანგარიში პარლამენტში

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ საქართველოს პარლამენტში, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ანგარიში წარადგინა.

საკომიტეტო მოსმენას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები და დარგის ექსპერტები. სააგენტოს თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა მონიტორინგის მიმდინარეობაზე, ძირითად მიგნებებზე, უწყების შეფასებებსა და გაცემული რეკომენდაციების მიზნობრიობაზე.

მირქმა (მიგებება) მაცხოვრისა

15 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს საეკლესიო დღესასწაულს ზეიმობს, რომელიც მირქმის, მიგებების სახელითაა ცნობილი.

...უფალი ჩვენი იესო ქრისტე ორმოცი დღის რომ შესრულდა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მისი დამწვინდველი ოსები ტაძარში მივიდნენ. წესისამებრ, ახალნამშობიარევ დედას ორმოცი დღე არა აქვს უფლება ტაძარში შესვლისა, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვები. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

ტაძარში ჩვილით მისულ მარიამს და მართალ იოსებს მიეგება სულიწმინდის მადლით ცხებული სიმეონი. იგი იყო ერთი 70 ებრაელთაგანი (მეცნიერი), რომლებსაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნათ ბიბლია.



სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა და როცა მიუახლოვდა ადგილს, სადაც წერია: „აჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, ეგონა, რომ წიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს ეშვა ძე. სვიმეონმა ადგილის შეცვლა განიზრახა.

...მოულოდნელად უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ვერ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ ნახავ ქალწულისგან შობილ მაცხოვარს“. 360 წლის იყო სვიმეონ, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ მრავალ ბავშვს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება: **„აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი“.**

წმიდა სვიმეონთან ერთად ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის ქვრივი ანა წინასწარმეტყველი, რომელიც მარხვითა და ლოცვით დღედაღამ განუშორებლად მსახურობდა ღვთის სახლში. მრავალ ჩვილს შორის მანაც შეიცნო ძე ღვთისა და ებრაელებს ახარა უფლის განკაცება. წმიდა მამები გვასწავლიან, რომ არა მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმინდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყოველ მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის საშუალება, — და ეს ხდება ტაძარში აღსარებისა და ზიარების დროს.

უფალი შედის ცოდვილ ადამიანებში, რათა განიწმინდოს იგი, მაგრამ პიროვნება მზად უნდა იყოს უფლის მისაღებად. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიის წიაღში; ტაძარში იგრძნობს ადამიანი სულიწმინდის მადლის შეხებას და მაცხოვრის სიყვარულისა და მისი ღვთაებრივი მოწყალების ქვეშ ყოფნას.

გიული ლიპარტია

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ინანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 18 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9506; ევრო - 3.3622;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0028;
100 რუბლი - 3.9339; თურქული ლირა - 0.2173;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7329;
1000 სომხური დრამი - 6.1553.

ამინდი 15 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+9
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+9
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge